საზოგადოების მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში: არსებული პრაქტიკა, გამოწვევები და შესაძლებლობები

სანდრა პერნარი
უფროსი მრჩეველი
ხორვატიის მთავრობა
არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამსახური.

საჯარო კონსულტაციები

- შედარებით ახალი მექანიზმი - უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობს ძალისხმევა **მონაწილეობის ჩარჩოს** შემუშავებისა და მისი ხელშეწყობის მიზნით. ამ თვალსაზრისით, წახალისებული იქნა იმ **ინფორმაციული ტექნოლოგიებისა** და შესაძლებლობების განვითარება, რომლებსაც ინტერნეტი უზრუნველყოფს საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის

- მიმდინარეობს საჯარო კონსულტაციები **ორმხრივი კომუნიკაციის,** ხელისუფლების ორგანოების **გამჭვირვალობისა და ღიაობის** პრინციპების შესაბამისად, მოქალაქეთა და სხვა სუბიექტების მოთხოვნილებებსა და ინტერესებზე **რეაგირების** გათვალისწინებით

- პოლიტიკის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მინიმალური დონის ინსტიტუციონალიზაცია მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში **მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების წარმოდგენის უზრუნველსაყოფად**, რის შედეგადაც მიიღება **უფრო მეტად ინფორმირებული გადაწყვეტილებები**.

- საჯარო კონსულტაცია არის ფორმალური პროცესი, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ **უკუკავშირი** წარმოდგენილ პოლიტიკურ ანალიზთან, კანონპროექტებსა და სხვადასხვა ალტერნატივასთან დაკავშირებით. ყოველივე ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს **პოლიტიკის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე** - დაწყებული პოლიტიკის დოკუმენტებში ჩამოყალიბებული იდეების შესწავლით და დამთავრებული კანონპროექტების განხილვით.

კონსულტაცია - უფასო ექსპერტიზა, უკეთესი ხარისხის გადაწყვეტილებები და ნდობის ამაღლება

- ფართო სპექტრის მონაცემების, იდეებისა და ექსპერტული მოსაზრებების შეგროვება
- ინოვაციური გადაწყვეტილებების სივრცე
- რეგულაციების განხორციელებისას პოტენციური პრობლემების დროული გამოვლენა
- დახურულობისა და ექსკლუზიურობის შესახებ საჯარო კრიტიკის პრევენცია
- სახელისუფლებლო ინსტიტუტების მიმართ ნდობის გაზრდა
- მოქალაქეებისა და დემოკრატიული სამოქალაქო პოლიტიკური კულტურის გაძლიერება
- პასუხისმგებლობის გაზიარება მიღებულ გადაწყვეტილებებზე

კონსულტაციების დამატებითი სარგებლიანობა, რაც გათვალისწინული უნდა იქნეს

- ✓ სამართლებრივი ვალდებულებების დაკმაყოფილება
- ✓ გამჭვირვალობა
- ✓ ეფექტიანობა
- ✓ მედიაში ინფორმაციისა და გზავნილების კონტროლი

კონსულტაციები გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა ეტაპზე

კონსულტაცია	პეტიციები, ონლაინ კონსულტაციები	მოსმენები, საჯარო განხილვები და პანელები (კითხვა-პასუხის რეჟიმი), ექსპერტთა სემინარები, საბჭოები და საკონსულტაციო ორგანოები, სამუშაო ჯგუფები (ონლაინ კონსულტაციები)	ღია პლენარული სხდომები ან კომიტეტის სხდომები	ღონისძიებები, კონფერენციები, ფორუმები (შეხვედრები), სემინარები	მექანიზმები ინფორმაციის უკუკავშირისათვის	კონფერენციები ან შეხვედრები ონლაინ კონსულტაციები
გადაწყვეტილების მიღების ეტაპები	დაგეგმვა	პროექტის შემუშავება	გადაწყვეტილების მიღება	განხორციელება	მონიტორინგი	ხელახლა ფორმულირება

კონსულტაციის მეთოდები

<u>ყველაზე გავრცელებული:</u>
- ონლაინ კონსულტაციები
- მოსმენები, საჯარო განხილვები ან შეხვედრები
- საკონსულტაციო შეხვედრები
- კვლევა

<u>ინოვაციური:</u>
- სოციალური ქსელების გამოყენება
- ღია სივრცის მეთოდი
- მსოფლიო კაფე

<u>სხვა მეთოდები:</u>

- ნახევრად სტრუქტურირებული და ინდივიდუალური ინტერვიუ
- ფოკუს ჯგუფები
- სემინარები
- მოქალაქეთა პანელები

კონსულტაციის მეთოდები

- მეთოდები შერჩეულია შემდეგ კრიტერიუმების გათვალისწინებით:
- **ეფექტიანობა** (ისინი შეესაბამება დროის, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, რომლებიც ხელმისაწვდომია კონსულტაციების განხორციელებისათვის)
- **მიზნობრივი ჯგუფის შესაბამისობა = ძირითადი დაინტერესებული მხარეები** (კომუნიკაციის სტილი, ინფორმაციის დონე, დაინტერესებული მხარეებისათვის დროისა და სივრცის ხელმისაწვდომობა)
- ***მეთოდის შერჩევა გავლენას ახდენს დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან მონაწილეობის ხარისხსა და რაოდენობაზე***

კითხვები მეთოდების შესაბამისობის დასადგენად:

- ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, სავარაუდოდ, რომელი პირები/მიზნობრივი ჯგუფები მიიღებენ მონაწილეობას?
- არსებობენ ისეთი ჯგუფები, რომელთათვის ეს მეთოდი არ არის შესაფერისი?
- რა ალტერნატიული მეთოდები არსებობს ამ ჯგუფების ჩართულობისათვის?
- არსებობს თუ არა ქოლგა ორგანიზაციები, რომლებიც შეიძლება დაეხმარნენ სხვა ორგანიზაციების მოსაზრებების შეგროვებაში?

კონსულტაციების როლი ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესში

- კონსულტაციის მეთოდების ერთობლიობა
  - ➔ უკეთესი ხარისხის დოკუმენტი

- ღია სივრცის მეთოდი
- საჯარო განხილვა / შეხვედრა
- სამუშაო ჯგუფები
- ონლაინ კონსულტაცია
- სოციალური ქსელები

უკუკავშირი

- ჩატარებული კონსულტაციების შესახებ მოხსენების მომზადება და გამოქვეყნება მნიშვნელოვანია **საკონსულტაციო პროცესის კეთილსინდისიერად** წარმართვისათვის. ის ასევე ითვალისწინებს დადებითი გზავნილების გაგზავნას კონსულტაციებში მონაწილე ყველა პირისათვის, **მათი ძალისხმევის აღიარების ნიშნად**.
- უკუკავშირი მნიშვნელოვანია **კონსულტაციების პროცესში** მოქალაქეებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის **ნდობის მოსაპოვებლად**. ეს აუცილებელია საჯარო კონსულტაციებში უფრო მეტი მონაწილეობის წახალისებისათვის, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს **უფრო მაღალი ხარისხის პოლიტიკას, კანონებსა და სხვა აქტებს**.
- უკუკავშირი არ ნიშნავს კონსულტაციის შესახებ მხოლოდ მოხსენების გამოქვეყნებას: სასურველია, რომ ყველა მონაწილე იღებდეს **მადლობის წერილს** (კოლექტიურს ან ინდივიდუალურს) და მიღების დადასტურებას => რაც მომავალშიც წაახალისებს მათ მონაწილეობას

მოხსენების ფორმატი
"მოვითხოვეთ, თქვით, გავაკეთეთ"

1. **ჩვენ მოვითხოვეთ** – *რა ძირითადი თემები / საკითხები წამოიჭრა საჯარო კონსულტაციებში*
2. **თქვენ თქვით** – *უკუკავშირი/ კონტრიბუცია დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან*
3. **ჩვენ გავაკეთეთ** – *როგორ გამოვიყენეთ საზოგადოების მიერ შეტანილი წვლილი* - კონსულტაციის გავლენა სამართლებრივი აქტის საბოლოო შინაარსზე - უნდა განიმარტოს, ზოგიერთი კომენტარი რატომ არ იქნა გათვალისწინებული

ეფექტიანი კონსულტაციის პროცესის 10 ნაბიჯი

1. იმ ძირითადი საკითხების იდენტიფიცირება, რომლებზეც პასუხის მიღებაც გსურთ კონსულტაციის პროცესში
2. განსაზღვრა, თემასთან მიმართებით რომელი მხარეები გამოხატავენ დიდ ინტერესს ან ანდენენ მათზე გავლენას
3. კონსულტაციის შესაბამისი მეთოდის (ინოვაციური „ღია სივრცე“, საჯარო განხილვა, სამუშაო ჯგუფები, ონლაინ კონსულტაციები, სოციალური ქსელები და ა.შ.) შერჩევა
4. დაინტერესებული საზოგადოების საჯაროდ მოწოდება კონსულტაციებში მონაწილეობის მისაღებად
5. ძირითადი დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის მიწოდება პროაქტიურად მონაწილეობის შესაძლებლობების თაობაზე

ეფექტიანი კონსულტაციის პროცესის 10 ნაბიჯი

6. კომენტარების მიღების დადასტურება, მადლობის მოხდა და შემდეგი ნაბიჯების გამოცხადება
7. საჯარო ონლაინ კონსულტაციის პროცესში მიღებული კომენტარების გამოქვეყნება
8. საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგად მიღებული კომენტარების ანალიზი
9. კონსულტაციის შედეგების შესახებ მოხსენების გამოქვეყნება
10. კონსულტაციის პროცესის ყველა მონაწილის ინფორმირება მოხსენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით

კონსულტაციის სახელმძღვანელო პრინციპები

1. **მონაწილეობა**: რამდენად ფართოდ ხორციელდება, დისკრიმინაციის გარეშე, ხელმისაწვდომია თუ არა (განსხვავებული პერსპექტივებით - გეოგრაფიული, ენობრივი, სტილისტიკის, ვირტუალური თვალსაზრისით) ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის, ნაკლებად წარმოდგენილი და მარგინალიზებული ჯგუფებისათვის?
2. **ეფექტიანობა**: არსებობს თუ არა აუცილებელი შესაძლებლობები კონსულტაციების წარმართვისათვის? რამდენად დროულია, რომ მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა? არის თუ არა საკმარისი დრო შენიშვნებისათვის? სათანადოდ არის თუ არა შერჩეული კონსულტაციების მეთოდები?
3. **გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება**: არსებობს თუ არა მკაფიო, გასაგები წესები კონსულტაციების წარმართვისათვის (მაგალითად, კონსულტაციის მინიმალური ხანგრძლივობა)? ხელმისაწვდომია (გამოქვეყნებულია) თუ არა დაინტერესებული მხარეებისათვის ყველა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ეფექტიანი მონაწილეობისათვის, მათ შორის, დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული წინადადებები და მათზე გამოხმაურება?
4. **თანამიმდევრულობა**: არსებობს თუ არა საჯარო ხელისუფლების მხრიდან თანმიმდევრული და ერთგვაროვანი მიდგომა კონსულტაციებთან მიმართებით? ხორციელდება თუ არა საჯარო კონსულტაციების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება?
5. **კომპლემენტარულობა:** საჯარო კონსულტაციები ეხმარება თუ არა კანონმდებლებს, მიიღონ ის ინფორმაცია, რომელიც სხვაგვარად არ იქნებოდა მათთვის ხელმისაწვდომი? - პასუხისმგებლობა შესაბამისი პოლიტიკისა და საკანონმდებლო გადაწყვეტილების შერჩევაზე, ასევე კანონპროექტის ფაქტობრივ მომზადებაზე ეკისრება სახელმწიფო ორგანოებს

გმადლობთ ყურადღებისათვის!

sandra.pernar@udruge.vlada.hr

sandra.pernar@gmail.com